



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N57

2018 წლის 23 მარტი
ქ.ქობულეთი

შპს „მაგთიკომი“-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის
მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შპს „მაგთიკომის“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში:
ციხისმირში, ბუკნარსა და საჩინოში, 65 (სამოცდახუთი) ერთეული ლითონის საყრდენი ბოძისა და
1482.3 მეტრი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის, თანდართული სქემატური ნახაზისა
და საპროექტო სამონტაჟო დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. შპს „მაგთიკომის“ უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის საჭირო
საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის
მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან,
ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო
სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დ.მჭედლიშვილი

